„მშრომელთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 12 მაისი, 1944 წ. № 96 (7040). ფასი 20 კაპ.

განვლილი წლის მანძილზე სეროიოზულად გაიზარდა საბჭოთა მრეწველობის ძლიერება. მწყობრში ჩადგნენ ასობით ახალი ქარხნები, შახტები, ელექტროსადგურები, რკინიგზის ხაზები, ხიდები. საბჭოთა ადამიანების მილიონები დადგნენ დაზგებთან, დაეუფლნენ ურთულეს პროფესიებს, გახდნენ თავიანთი საქმის ოსტატები.

ი. სტალინი

სევასტოპოლი განთავისუფლებულია, ყირიმი სრულიად გაწმენდილია მტრისაგან!

საბჭოთა კავშირის წითელი დროშები კვლავ აფრიალდნენ გმირულ სევასტოპოლში — რუსეთის დიდების ქალაქში.

გამარჯობა, მშობლიურო სევასტოპოლო, საბჭოთა ხალხის საყვარელო ქალაქო, გმირო ქალაქო, დევგმირო ქალაქო! სიხარულით მოგესალმება შენ მთელი საბჭოთა ქვეყანა. დადგა შენი განთავისუფლების დიდი ხნის ნანატრი ჟამი. იგი მსოფლიოს ამცნო უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძანებამ. საბჭოთა კავშირის დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით 324 ქვემეხის სალვიმო ზალპებით მიესალმა სევასტოპოლის მამაც განმათავისუფლებლებს, უკრაინის მე-4 ფრონტის გმირულ ნაწილებს.

სევასტოპოლის განთავისუფლება ავვირგვინებს გერმანელებისაგან ყირიმის განთავისუფლების ბრწყინვალე ოპერაციას. გერმანელები ფიქრობდნენ აქ დიდი ხნით, სამუდამოდ დარჩენილიყვნენ. ისინი ფიქრობდნენ ყირიმი მეკობრეთა ბუდედ გადაექციათ წავ ზღვაზე. გერმანელებს ყირიმის დატოვება არ სურდათ მაშინაც კი, როცა გერმანიის არმია უკვე განდევნილ იქნა მთელი დნეპრისპირეთიდან, ოდესიდან.

ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ამაგრებდნენ გერმანელები ყირიმს, მის ყელებს, მის მთებს, მის ნავსადგურებს. მათ საკმაო დრო ჰქონდათ, რათა აქ შეექმნათ ძლიერი სიმაგრეები, მთელი ყირიმისათვის გარს შემოერტყათ გერმანელთა „ცაადაღებული „ზღუდეები". ნაგრამ მთელი მსოფლიო განსაცვიფრებელ მოვლენათა მოწმე გახდა. წითელი არმიის გმირულმა ნაწილებმა 34 საათის განმავლობაში გამანადგურებელი დარტყმით დაანგრიეს „მიუვალი" სიმაგრეები პერეკოპზე. გერმანელები რუმინელებთან ერთად უწესრიგოდ გაიქცნენ სევასტოპოლისაკენ. ისინი აქ ცდილობდნენ შეჩერებულიყვნენ, გამაგრებულიყვნენ, შეენარჩუნებინათ თავიანთი უკანასკნელი დასაყრდენი ყირიმში. არ გამოუვიდათ! ვერ უშველათ ვერავითარმა რკინაბეტონის თავდაცვითმა სიმაგრეებმა.

სევასტოპოლი განთავისუფლებულია. მტერი გადაგდებულია ზღვაში!

გვაგონდება სევასტოპოლის ლეგენდარული გმირული დაცვა 1941 წლის ოქტომბერში — 1942 წლის ივლისში. საბჭოთა ჯარები უმაგალითო მძიმე პირობებში 250 დღეს იცავდნენ სევასტოპოლს. ეს დღეები სამუდამოდ შევიდნენ საბჭოთა ხალხის ისტორიაში, როგორც სევასტოპოლის გმირ დამცველთა მამაცობის, სიმტკიცისა და შეურყეველობის აღმფრთოვანებელი მაგალითი. ყოველი ქვა სევასტოპოლში და მის მისადგომებზე ღაღადებს წარმტაცი მორალური სილამაზის საგმირო საქმეებზე. მთელ მსოფლიოს აკვირვებდა საბჭოთა მეომრის სიმამაცე და შეუპოვრობა.

დიდი ხნით, 8 თვით დაყოვნდნენ გერმანელები სევასტოპოლის კიბლებთან. აქ მორეკეს ფონ-მანშტაინის რჩეული დივიზიები, გერმანიის არმიაში საუკეთესო საავიაციო კორპუსი ფონ-რიხტჰოფენისა. იერიში იერიშს მოსდევდა. ალყას იერიშები სცვლიდნენ. თავიანთი მარცხის ასახსნელად გერმანელები სევასტოპოლს ხატავდნენ, როგორც უაღრესად ძლიერ სიმაგრეს მსოფლიოში. გაზეთი „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი" 1942 წლის ივნისში სწერდა: „სევასტოპოლი ყველაზე მიუდგომელი სიმაგრეა მსოფლიოში. მას იცავენ არა მარტო ბეტონი და ფოლადი, არამედ გორაკებიც, ხევებიც და კლდეებიც, სადაც მრავლად არის გამოქვაბულები".

მთავარი ის იყო, რომ სევასტოპოლს იცავდნენ საბჭოთა ადამიანები, იცავდნენ იმ სასწაულმოქმედი დევგმირების შთამომავლები, რომლებიც სევასტოპოლში მტერს უმკლავდებოდნენ 1854-55 წლებში, რომლებმაც ინტერვენტები განდევნეს 1920 წელს. 1941-42 წლების გმირულმა დაცვამ გადააჭარბა ყოველივეს, რაც ყოფილა ყირიმში, რომელიც მდიდარია გადმოცემებით ომებზე, სიმაგრეთა ალყებზე.

სევასტოპოლმა სამასსოვრო 250 დღის განმავლობაში შეასრულა ის, რასაც მისგან ჩვენი ქვეყანა მოელოდა. მისმა გმირმა დამცველებმა ბრძოლებში გაეღლიტეს მტრის 300 ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს ასობით ტანკი, ქვემეხი და თვითმფრინავი. სევასტოპოლის დაცვამ ჩაშალა გერმანელთა „საგაზაფხულო შემოტევა".

„მძიმე ბრძოლებში 1942 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე წითელმა არმიამ გზა გადაუღობა ფაშისტ მხეცებს. ჩვენი ხალხი სამარადისოდ შეინახავს ხსოვნას სევასტოპოლისა და ოდესის გმირული დაცვის შესახებ, მოსკოვთან და კავკასიის მთის ძირებში, რჟევის რაიონში და ლენინგრადთან შეუპოვარი ბრძოლების შესახებ, ომების ისტორიაში უდიდესი ბრძოლის შესახებ სტალინგრადის კედლებთან. ამ დიდ ბრძოლებში ჩვენმა მამაცმა მებრძოლებმა, მეთაურებმა და პოლიტმუშაკებმა უჭკნობი სახელი მოუხვეჭეს წითელი არმიის საბრძოლო დროშებს და მკვიდრი საფუძველი ჩაუყარეს გერმანელ ფაშისტთა არმიებზე გამარჯვებას" (ი. სტალინი).

გულისტკივილით სტოვებდნენ 1942 წლის 3 ივლისს სევასტოპოლის დამცველები თავის საყვარელ ქალაქს. მათ დაუთმეს მტრის უდიდეს რიცხობრივ უპირატესობას, მის უპირატესობას თვითმფრინავებისა და ტანკების მხრივ. მაგრამ სევასტოპოლის დამცველებმა, ისე როგორც მთელმა ჩვენმა ქვეყანამ, იცოდნენ, რომ ისინი დაბრუნდებიან, რომ სევასტოპოლი, ჩვენი საიმედო გუშაგი შავ ზღვაზე, განთავისუფლებულ იქნება.

და ისინი დაბრუნდნენ. ბევრის მკერდს ამშვენებს მედალი „სევასტოპოლის დაცვისათვის".

სევასტოპოლი რომ დაიკავეს, გერმანელები ორი წლის განმავლობაში თავიანთი საინჟინრო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აშენებდნენ თავდაცვითს ნაგებობებს. მათ შეჰქმნეს ბეტონისა და ფოლადის სიმაგრეთა სამი ზოლი. მათ სევასტოპოლში თავი მოუყარეს ჯარებს მთელი ყირიმიდან და განაგრძობდნენ ცოცხალი ძალის მოყვანასა და ტექნიკის მოტანას... და ყოველივე ეს დაანგრა წითელი არმიის, წითელი ფლოტის მიერ სამი დღის განმავლობაში მიტანილი იერიშით! 250 დღე საბჭოთა გმირული დაცვისა და სამი დღე გერმანელთა უსახელო დაცვისა... სევასტოპოლის განთავისუფლებით მთელი სისრულით გამოვლინებულია საბჭოთა ოსტატობის ის სკოლა, რომელიც წითელმა არმიამ გაიარა უდიდესი სტრატეგის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

მთელი მოქმედება გერმანელებისაგან ყირიმის გასაწმენდად და სევასტოპოლის განსთავისუფლებლად აღნიშნულია წითელი არმიისა და საბჭოთა ავიაციის ორი ბრძოლითი ფრონტის ერთობლივ ოპერაციად. ეს ოპერაცია ჩატარებულ იქნა ფრონტის მეთაურ მარშალ ტოლბუხინისა და ფრონტის მეთაურ, ადმირალ ოქტიაბრსკის ხელმძღვანელობით.

ოპერაციის ორ ეტაპად დაყოფა, ორ ეტაპად ჩატარება, ეს ეტაპები ერთმანეთისაგან ერთ-ორ დღეს, ან ერთ-ორ საათს, ან ერთ-ორ წუთს, ან ერთ-ორ ასეულ მეტრს, ან ერთ-ორ ასეულ ნაბიჯს, ან ერთ-ორ ასეულ ტანკს, ან ერთ-ორ ასეულ ავიაციურ ბომბდამშენს, ან ერთ-ორ ასეულ ბომბს, ან ერთ-ორ ასეულ ტყვიას, ან ერთ-ორ ასეულ ტყვიანს, ან ერთ-ორ ასეულ ადამიანს, ან ერთ-ორ ასეულ ადამიანურ ბედს, ან ერთ-ორ ასეულ ადამიანურ ბედნიერებას

ბრძოლა სევასტოპოლისათვის

მოსკოვი არმია, 9 მაისი (საკავშირო სპეც. კორ.). წითელმა არმიამ კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. სევასტოპოლი—რუსეთის დიდების ქალაქი — განთავისუფლებულია ფაშისტი დამპყრობლებისაგან. დამთავრებულია გრანდიოზული ოპერაცია გერმანელთა და რუმინელთა ურდოებისაგან ყირიმის ნახევარკუნძულის გასაწმენდად.

გერმანელთა საინჟინრო-სასაზღვრო ნაწილები დიდი ხნის განმავლობაში აუმჯობესებდნენ სევასტოპოლის ზღუდეებს. ჰიტლერელებმა ააგეს დიდძალი ძელმიწური საცეცხლე წერტი, მთები დასერეს ასეული სანგრებით, ააშენეს მთელი რიგი საინჟინრო ნაგებობანი და აქ თავი მოუყარეს ჭიმე არტილერიას, ქალაქს გარს ერტყა რკინა-ბეტონის თავდაცვით ნაგებობათა სამი ზოლი.

მთები, ველები, გასასვლელები, მიწის ყოველი მტვრე ნაკვეთი მტრის მძლავრი თავდაცვითი ზღუდეების დასაძლევად წარმოებული ბრძოლების ასპარეზად იქცა. სევასტოპოლთან გერმანელთა თავდაცვის სამხრეთ უბანზე შემტევი ჯარების წინ, როგორც უზარმაზარი ბუნებრივი და საცეცხლე ბარიერი, ჩდებარეობდნენ საპუნ-გორა, ყარანი, მთა კაიბაში, მთა სახარნაია გოლოვკა. მთის ფერდობებზე, კლდოვან ღრმულებში მტერმა განალაგა ასობით საცეცხლე წერტი, ქვეითი ჯარის მეჩრივები. მაღლობების საფანგო ცეცხლი იფარავდა სევასტოპოლის მისადგომებს. აღმოსავლეთის მხრიდან ქვეითი ჯარის გზაზე ჩდებარეობდა დანაღმული მინდვრები, გერმანელთა ჯარებმა განსაკუთრებით გააძლიერეს თავისი თავდაცვა განადგურებისაგან გადარჩენილი და ყირიმის მთელი ტერიტორიიდან მოტანილი არტილერიით, ტანკებითა და თვითმავალი ზარბაზნებით. სევასტოპოლის მისადგომებზე მტერმა ამოჩქარედ მრავალი საარტილერიო და სანაღმმტყორცნო ბატარეა.

სამი დღის წინათ უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა დაიწყეს იერიში გერმანელთა ძლიერ გამაგრებული პოზიციებისა, რომლებიც სევასტოპოლს იცავდნენ. იერიში დაიწყო მძლავრი საარტილერიო სროლით.

7 მაისის დღე ყველა სახეობის ავიაციის მოქმედების დიდი წარმატების დღე იყო. ჰაერში არ სწყდებოდა მოტორების მუდმივი გუგუნი. დაბლა ფრენით მიჰქროდნენ მოიერიშეთა ჯგუფები, მათს ზემოთ მიფრინავდნენ ძმიმე ბომბდამშენები, ჩიდიოდნენ მოპიკრეები.

მოიერიშეთა თანამოქმედება ქვეითს ჯართან ბრწყინვალე იყო. ჩვენი „ილები" გერმანელთა წინა კიდეზე ზარბაზნებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლით სპობდნენ მოწინააღმდეგეს სანგრებსა და ბლინდაჟებში. ბომბების დარტყმით ანგრევდნენ მტრის საცეცხლე წერტებს, საარტილერიო ბატარიებს. მოიერიშეები მაღალ საფრენოსნო ოსტატობას ახამებდნენ განსაკუთრებულ სიმაცისთან. მტრის საზენიტო ქვემეხები გაოფთრებით ისროდნენ. მიუხედავად ამისა, არ ყოფილა ბომბდამშენთა არც ერთი ჯგუფი, რომელიც ისე დაბრუნებულიყო აეროდრომზე, რომ არ შეესრულებინა თავისი დავალება და არ გაენადგურებინა სამიზნო.

ბომბდამშენები ურტყამდნენ მტრის აეროდრომებს, სანაოსნო საშუალებებს, ნავსადგურებს, ნავმისადგომებს, საომარი მასალის საწყობებს და განსაკუთრებულ გამაგრებულ ზღუდეებს. ავიაგამანადგურებლები, რომლებიც იფარავდნენ მოიერიშეებისა, და ბომბდამშენების მოქმედებას, დღეში რამდენიმე საჰაერო ბრძოლას ეწეოდნენ.

იერიშის მეორე დღის საღამოს ქვეითები გავიდნენ მტრის თავდაცვითს ზღუდეებთან კარანის რაიონში, საპუნ-გორასთან, შეკენზის მთებთან და დასახლებულ პუნქტ ლუბიმოვკის რაიონში, სევასტოპოლის ჩრდილოეთ მისადგომებზე. მოწინააღმდეგე ცდილობდა კონტრიერიშებით შეეჩერებინა ჩვენი შტეკვი, გერმანელებს ტანკების დახმარებით კონტრიერიშებზე გადმოსყავდათ ქვეითი ჯარი, მაგრამ ამაოდ. ერთმა ჩვენმა შენაერთმა დღის განმავლობაში მოიგერია 20-მდე კონტრიერიში. დასახლებულ პუნქტ კარანის რაიონში მოწინააღმდეგემ მოკლულთა სახით 1.500-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა.

ორი დღის იერიშის შედეგად ჩვენმა ჯარებმა მტერი განდევნეს ძირითადი გამაგრებული ზღუდეებიდან და დაიკავეს საპუნ-გორა, შეკენზის მთები, კოლმეურნეობა „ბოლშევიკი", დასახლებული პუნქტი ლუბიმოვკა, მთა სახარნაია გოლოვკა და მისი მომიჯნავე მთელი რიგი მაღლობები.

საპუნ-გორის, კოლმეურნეობა „ბოლშევიკის", სახარნაია გოლოვკის დაკავებით დარღვეულ იქნა მტრის თავდაცვის ძირითადი სისტემა სევასტოპოლის აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით. შეკენზის მთების, ლუბიმოვკისა და მეელი რიგი მაღლობების დაკავებამ საშუალება მისცა ჩვენს ჯარებს წინ წაეწიათ სევერნაია ბუხტისაკენ.

წითელი არმიის ნაწილებმა შეტევის მთელ ხაზზე დაიკავეს პოზიციები, რომლებიც სევასტოპოლის რაიონს დაჰყურებენ.

მტრის თავდაცვის მთავარი ხაზი გარღვეულ იქნა. საპუნ-გორით გაიღო სევასტოპოლის „ჭიშკარი". ჩვენი ჯარები გაეძანენ სევასტოპოლისაკენ. გვარდიელებმა იერიშით დაიკავეს ქალაქის ერთ-ერთი გარეუბანი. ზეურგში შეავტომატეთა ბაღრაგობით ჭიდის გერმანელ ტყვეთა დიდი კოლონა. ჰყრიან ნაღმსატყორცნები, ავტომატები, გერმანელთა გვამები. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჰიტლერელებს აწვებოდნენ 6 შენაერთის მებრძოლები. ჩვენი მოიერიშე და ბომბდამშენი ავიაცია აძლიერებდა თავის დარტყმებს. ასობით ქვეშები, რომლებმაც ღამით პოზიციები გამოიცვალეს, ახლო დისტანციიდან ურტყამდა მტრის ბუხტებს, აეროდრომებს.

პერეკოპის, სივაშის დივიზიები სევასტოპოლისაკენ მიიწევდნენ. არ შეიძლება არ გიამბოთ საპუნ-გორის გმირულ იერიშზე. გერმანელები უდიდეს იმედებს ამყარებდნენ ამ შიშველ კლდოვან მთაზე, რომელიც გადაფარულია ათასობით ყუმბარით. „საპუნ-გორა მიუვალია", — ამტკიცებდნენ გერმანელები. „საპუნ-გორას ავიღებთ",—ამბობდნენ საბჭოთა მეომრები, და დაიწყო სწრაფი იერიში. დილის 9 საათი იყო, როდესაც ქვემეხთა პირველმა ზალპებმა ჰაერი შეარყიეს. საპუნ-გორაზე ყველაფერი კვამლში გაეხვია, ყალყზე შედგა. აფეთქებათა ბოლი ჰაერში ავიდა, ზუზუნებდნენ ნამსხვრევები, ქვები კლდეებიდან თავს ეყრებოდა გერმანელებს. მტრის სანგრებს უშენდა ჩვენი არტილერია. ნაღმმტყორცნელები მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალას ურტყამდნენ. ხანგრძლივ საცეცხლე წერტებს, ძელმიწურ საცეცხლე წერტებსა და ატყვიამფრქვევიმიწურ საცეცხლე წერტებს, მესამე იარუსის სანგრებს ანგრევდნენ დიდი სიმძლავრის ქვემეხები. მტრის საარტილერიო ბატარიებს გამანადგურებელ ცეცხლს უშენდა 6 საარტილერიო ნაწილი. მთლიანად ეს იყო გამანადგურებელი ძალისა და სიხშირის ცეცხლი, რომელიც ცოცხალს თითქმის არაფერს სტოვებდა. ჩვენი მოიერიშეები ეხმარებოდნენ არტილერისტებს.

როგორც კი დამთავრდა პირველი ქვედა სანგრების დამუშავება და დანგრეულ იქნა ამ ზოლის ძირითადი ხანგრძლივი საცეცხლე წერტები და ძელმიწური საცეცხლე წერტები, ბატარიებმა თავიანთი ცეცხლი მტრის თავდაცვის სიღრმეში გადაიტანეს. წამოიშალა ქვეითი ჯარი. იგი მიდიოდა ფრონტით და შემოვლითი მანევრი მოახდინა ზეთეს შუა. პირველნი მიდიოდნენ მოიერიშე ჯგუფები, ოცეულები, ათეულები, მათ წინ კი—ესანგრეები. ესენი ცეცხლში უკაფავდნენ გზას ქვეითს ჯარს. ძახილით „ამხანაგებო, ალ!"—ეკვეთა მტერს რიგითი ჯარისკაცი ალეკოი. მას მიჰყვა ასობით მებრძოლი. ალინი უტევდნენ, იერიშს მიჰქონდათ, იმარჯვებდნენ.

ცხრა საათის განუწყვეტელი ბრძოლის შემდეგ კაპიტან შილოვის მეომრები საპუნ-გორის თხემზე აიკრნენ. მაღლობზე აფრიალდა გამარჯვების წითელი დროშა. ქვეითების შემდეგ მთაზე ადიოდნენ ნაღმმტყორცნელები, არტილერისტები. მებრძოლებს მხრით მიჰქონდათ ნაღმსატყორცნების ძმიმე ფარები, არტილერისტები ღვედებით ეწეოდნენ ტანკსწინააღმდეგო ზარბაზნებს. ქვეითებთან ერთად არტილერისტებმა გაიარეს მთელი გზა პერეკოპიდან გმირ ქალაქამდე.

ახლოდებოდა გადამწყვეტი ჟამი. მატულობდა დარტყმების ძალა. მტერი სისხლისაგან იცლებოდა. ფაშისტი ჯარისკაცებისა და ოფიცრების გვამებზე რუსეთის დიდების ქალაქში შედიოდნენ საბჭოთა მეომრები. დღეს უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა ავიაციისა და არტილერიის მასირებული დარტყმების დახმარებით სამი დღის შეტევითი ბრძოლების შედეგად გაარღვიეს გერმანელთა ძლიერ გამაგრებული ხანგრძლივი დაცვა, რომელიც რკინაბეტონის თავდაცვით ნაგებობათა სამი ზოლისაგან შესდგებოდა, იერიშით დაიკავეს სიმაგრე და უმნიშვნელოვანესი საზღვაოსაზღვაო ბაზა შავ ზღვაზე—ქალაქი სევასტოპოლი. ლიკვიდირებულია გერმანელთა წინააღმდეგობის უკანასკნელი კერა ყირიმში. ყირიმი სრულიად გაწმენდილია გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან.

მ. ჩანკვეტაძე

ახალი სესხის გავრცელება საქართველოში

კლუხორი

(„კომუნისტის" საკ. კორ.).

კლუხორის რაიონის მშრომელებმა ერთსულოვნად მოაწერეს ხელი მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხზე.

სოფელ ახალშენის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრმა თ. ბოხაშვილმა ხელი მოაწერა 2.000 მანეთის სესხზე და ფული იქვე შეიტანა. კოლმეურნეებმა დ. გავაშელმა და ვ. ლობეანიძემ ნაღდად შეიძინეს 2.000 მანეთის ობლიგაციები თვითეულმა.

რაიონის მუშა-მოსამსახურეებმა სახელმწიფოს სესხად მისცეს ორი და სამი თვის ხელფასი.

სულ კლუხორის რაიონში ახალი სესხი გავრცელებულია 1.936.000 მანეთის რაოდენობით.

ა. ჩანკვეტაძე

თბილისის რაიონი

11 მაისისათვის თბილისის რაიონის მშრომელებს ახალ სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდა 7.117.000 მანეთის რაოდენობით. აქედან ნაღდ ფულად შეტანილი იყო 5.247.000 მანეთი.

სოფელ სოდანლუღის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლ. თურმანიძემ ხელი მოაწერა 50.000 მანეთის სესხზე და ფული იქვე ნაღდად შეიტანა. სოფელ ახალოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. ჯანიაშვილმა ხელი მოაწერა 50.000 მანეთის სესხზე. სოფელ კუმისის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. ათაბეგოვმა ნაღდ ფულად 40.000 მანეთის ობლიგაციები შეიძინა. სოფელ ნაძალადევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. გოგიაშვილმა ხელი მოაწერა 50.000 მანეთის სესხზე.

სოფელ სოდანლუღის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ხელი მოაწერეს 500.000 მანეთის სესხზე და აღნიშნული თანხა ხელმოწერისთანავე დაჰფარეს.

ა. კორახაშვილი

ბორჯომი

11 მაისისათვის სესხზე ხელმოწერის საერთო თანხა 6.448.000 მანეთს შეადგენდა. აქედან სოფლად ნაღდ ფულზე გავრცელებული იყო 2.176.000 მანეთის ობლიგაციები, რაც გასავრცელებლად გათვალისწინებული თანხის 108,4 პროცენტს უდრის.

სოფელ ციხისჯვრის მილიონერი კოლმეურნეობის წევრებმა ხელი მოაწერეს 193.000 მანეთის ობლიგაციებზე. ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. ნიკოლაევმა ხელი მოაწერა 7.000 მანეთის სესხზე. სოფელ დვირის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ორდენოსანმა ა. ხაჭაპურიძემ შეიძინა 10.000 მანეთის ობლიგაციები.

შუშის ქარხნის მუშამ ბესტოროვმა სახელმწიფოს სესხად მისცა ოთხი თვის ხელფასი. ამ ქარხანაში სესხის გავრცელების პირველ დღესვე 160.000 მანეთის ობლიგაციები გაავრცელეს.

შ. მაისურაძე

სამტრედია

(„კომუნისტის" საკ. კორ.).

11 მაისისათვის რაიონში მესამე სახელმწიფო სამხედრო სესხზე ხელმოწერის საერთო თანხა 14.134.000 მანეთს უდრიდა. აქედან სოფლად ნაღდ ფულზე გავრცელებული იყო 6.462.000 მანეთის ობლიგაციები. რაიონის კოლმეურნეობებმა 1.862.000 მანეთის სესხზე მოაწერეს ხელი და ნაღდად შეიტანეს 1.500.000 მანეთი.

სოფელ ძველი სამტრედიის ლენინის სახ. ლობის კოლმეურნეობის წევრებმა ნაღდად შეიძინეს 390.000 მანეთის ობლიგაციები. ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. ჯანელიძემ და ორდენოსანმა გრიგადერმა ა. ჰატარაძემ ნაღდად შეიძინეს 10.000 მანეთის ობლიგაციები თვითეულმა. სოფელ ეწრის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ნაღდად შეიძინეს 400.000 მანეთის ობლიგაციები. ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ივ. ტაბიძემ ხელი მოაწერა 20.000 მანეთის სესხზე და ფული იქვე ნაღდად შეიტანა.

გ. სიხარულიძე

ონი

(„კომუნისტის" საკ. კორ.).

ონის რაიონის მშრომელებს 9 მაისისათვის ახალ სესხზე ხელი მოწერილი ჰქონდათ 3.739.000 მანეთის რაოდენობით. აქედან ნაღდად შეძენილია 2.000.000 მანეთის ობლიგაციები. ეს გასავრცელებლად გათვალისწინებული თანხის 151,9 პროცენტს უდრის.

სოფელ შოუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ პ. ინასარიძემ, კოლმეურნე კ. ლებანიძემ და ი. გაგნიძემ 10.000 მანეთის ობლიგაციები შეიძინეს თვითეულმა.

მ. ბერიშვილი

ქვემო სვანეთი

9 მაისისათვის სესხზე ხელმოწერის საერთო თანხა 1.234.000 მანეთს შეადგენდა. აქედან მუშა-მოსამსახურეებმა ხელი მოაწერეს 293.000 მანეთის, კოლმეურნეებმა და ერთპიროვნულმა მეურნეებმა—924.000 მანეთის, კოლმეურნეობებმა—20.000 მანეთის სესხზე. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სანდრო ონიანმა ხელი მოაწერა 20.000 მანეთზე. კოლმეურნე გ. ონიანმა ნაღდად შეიძინა 2.500 მანეთის ობლიგაციები. ფრონტელის მამამ ერთპიროვნულმა მეურნემ ს. მუკანინამ ხელი მოაწერა 15.000 მანეთის ობლიგაციებზე და ფული იქვე ნაღდად შეიტანა.

ი. ჯამბუკიძე

ყვარელი

(ტელეფონით)

ყვარელის რაიონში 11 მაისს საღამოსათვის ახალ სესხზე ხელმოწერის თანხამ 6.540.000 მანეთს მიაღწია. ამ თანხიდან სოფლად ხელმოწერის თანხა უდრის 5.020.000 მანეთს, ანუ რაიონში გასავრცელებლად ნავარაუდევი თანხის 143,4 პროცენტს.

11 მაისს საღამოსათვის სესხის ობლიგაციების გამოსასყიდად ნაღდად შემოტანილი იყო 4.422.000 მანეთი, რაც სარეალიზაციოდ გათვალისწინებულ ობლიგაციათა ღირებულების საერთო თანხის 126 პროცენტს უდრის.

რაიონის მოსახლეობიდან 25-მდე მშრომელმა შეიძინა 100.000 და 50.000 მანეთის ობლიგაციები თვითეულმა.

მეაბრეშუმე პ. შუბლაძის ახალი ნარმაჯება

სამტრედიის რაიონის ცენტრის უბნის XVII პარტყრილების სახელობის კოლმეურნეობის წევრმა პაშა შუბლაძემ, როგორც შარშან ისე წელსაც, აბრეშუმის პარკი მიიღო მეჩვიდმეტე დღეზე და საქართველოში პირველმა 10 მაისს ნახევარ კილოგ აბრეშუმის თესლზე მოიყვანა და სახელმწიფოს ჩაბარა 35 კილოგრამი პირველხარისხოვანი პარკი.

ამხ. შუბლაძემ აბრეშუმის პარკის ჩაბარების გეგმა შეასრულა 148 პროცენტით და გამომუშავა 77 შრომადღე.

ეს წარმატება მიღწეულია იმით, რომ ამხ. შუბლაძეს საკვე ოთახში დადგმული ჰქონდა ფრანკლინის ღუმელი და ყოველთვის იცავდა ტემპერატურის რეჟიმს, ჭიას ქვებავდა როგორც დღისით, ისე ღამით, ხშირად უცვლიდა ნაძირებს და დაცული ჰქონდა სისუფთავე.

პ. შუბლაძე შარშან ცნობილი გახდა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში, როგორც აბრეშუმის პარკის პირველი ჩამბარებელი. წელსაც ეოიხვეჭა მან სახელი. ამ სტახანოველი მეაბრეშუმის მდიდარი გამოცდილება საფუძვლიანი შესწავლისა და გავრცელების ღირსია.

ნ. ქიტიაშვილი

გამოშვებულია ჩაის პირველი პროდუქცია

მახარაძე („კომუნისტის" საკ. კორ.).

გაჩაღდა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფა. ჩაის კრეფას ყველაზე ადრე შეუდგნენ ნასაკირალისა და ლაითურის საბჭოთა მეურნეობები.

ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობაში პირველ დღეს მოიკრიფა 800 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ნასაკირალის ჩაის ფაბრიკამ გამოუშვა ჩაის ახალი პროდუქცია. ფაბრიკა შეუფერხებლად მუშაობს. სეზონისათვის კარგად არიან მომზადებული აგრეთვე შრომის, ნატანების, მაღალი ეწრის, მახარაძისა და ლაითურის ჩაის ფაბრიკები.

ლ. ლოლაძე

დღეკალი

ჩერჩილის გამოსვლა თემთა პალატაში

ლონდონი, 10 მაისი (საკავშირო). როგორც რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა დღეს თემთა პალატას აუწყა დაწვრილებითი ცნობები იმ დახმარების შესახებ, რაც საბჭოთა კავშირს გაუწიეს დიდმა ბრიტანეთმა და ბრიტანეთის იმპერიამ.

ჩერჩილმა განაცხადა: „1941 წლის 1 ოქტომბრიდან 1944 წლის 31 მარტამდე განვლილ პერიოდში ჩვენ საბჭოთა კავშირს მივაწოდეთ 5.031 ტანკი, მათ შორის 1.233 კანადისა. ჩვენ მივაწოდეთ 6.778 თვითმფრინავი, მათ შორის 2.672 თვითმფრინავი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გაგზავნეს. ეს თვითმფრინავები გაგზავნილ იქნა შეერთებული შტატების მიერ საბჭოთა კავშირისათვის საჭურველის სესხად ან იჯარით გადაცემის კანონის ძალით როგორც იმ ხვედრის ნაწილი, რაც ინგლისს ერგებოდა იმის სამაგიეროდ, რომ საომარი ოპერაციების ევროპის ასპარეზზე ამერიკის შეიარაღებული ძალები ინგლისის თვითმფრინავებით მარაგდებოდნენ. ჩვენ გავგზავნეთ აგრეთვე სხვადასხვა ნედლეული, კვების პროდუქტები, ამასთან ერთად ... მოწყობილობა, ...